საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. ხარჯ. პარტიის

წელიწადი მეხათე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 545 კვირა, აგვისტოს 12 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის

## სენაკის დრ. სამაზრო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. აგვისტოს 26-სათვის ქ. ახალ-სენაკში მოწვეულია პარტ-ორგანიზაციების

## სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა ფედერაციის საგარეო და საშინაო მდგომარეობა.
2. პარტორგანიზაციების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.
3. პარტიული მუშაობა.
4. დროებითი სამაზრკომის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

დელეგატები იგზავნება პარტორგანიზაციების მიერ, ყოველ 20 წევრზე ერთი. ორგანიზაცია, რომელშიაც ირიცხება 20-ზე ნაკლები ნამდვილი წევრი, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. ახალგაზრდათა ორგანიზაციებს უფლება აქვთ სათათბირო ხმით თითო წარმომადგენლის გამოგზავნისა.

კონფერენცია გაიხსნება საბჭოთა თეატრში, დღის 12 საათზე.

ს. მემარცხენე ს.-ფ. პ. სენაკის დრ. სამაზრკომი.

## ტფილისის საბჭოს სხდომა

## გაიმართება

## ორშაბათს, 13 აგვისტოსათვის და გაიმართება რუსთველის თეატრის დარბაზში.

დღის წესრიგი:

1) კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის იუბილე.

2) საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.

3) ამიერ-კავკასიის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის განყოფილების მოწყობის შესახებ.

საბჭოს პრეზიდიუმი.

## დაცემისაკენ

გერმანეთის მდგომარეობა დღითი დღე რთულდება, მარკის კურსის დაცემას საზღვარი აღარა აქვს. ახალი საგადასახადო პროექტები იწერება. დიდდება 100 პროც. გადასახადი შემოსავლის კვალობაზე და 140 პროც. აქციონერულ საზოგადოებაზედ. კუნო თათბირს მართავს პარლამენტის ფრაქციების წარმომადგენლებთან და ეძებენ ზომებს მარკის დაცემის შეჩერებისათვის. სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა კუნომ რეიხსტაგში საგარეო მდგომარების შესახებ, სანუგეშოს ვერაფერსეუბნება გერმანიის ხალხს. იგი აღნიშნავს, რომ საფრანგეთი ისევ სდგას გერმანეთის სრული კაპიტულიაციის ნიადაგზე. ინგლისიდან არაფერია მოსალოდნელი, სარეპარაციო საკითხის ირგვლივ შექმნილ წინააღმდეგობის გამო.

კუნოს პოლიტიკა ისევ პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკაა, იგი ვერ სდგამს აქტიურ ნაბიჯებს. ებრძვის აქტიური ბრძოლის მეთოდების წამოყენებას საფრანგეთის წინააღმდეგ.

გერმანეთის მდგომარეობა კატასტროფიულია. ფასდაკარგულ ქაღალდებში გლეხები და მწარმოებლები ვერ ურიგდებიან პროდუქტების გაყიდვას. ახალი საგადასახადო პოლიტიკა და პროექტები, გადასახადთა გადიდების შესახებ, პალიტიური ზომაა. იგი ვერ იხსნის კატასტროფის წინაშე დამდგარ ქვეყანას. ფინანსიური კრახი იწვევს ქვეყნის მეურნეობის ქაოსს, ნორმალურ ვითარების შეფერხებას, ეკონომიკის მექანიზმის მოშლას.

ინგლისი და საფრანგეთი კვლავ თავს დასტრიალებს გერმანეთის ვალებს. პირველი მათგანი თანახმაა შეამოკლოს თავისი მოთხოვნები საკონტრიბუციო საკითხში იმ რაოდენობამდე, რომელიც საჭიროა ამერიკის ვალის განაღდებისათვის, მეორე კი კვლავ გერმანეთის დაცემის პოზიციაზედ დაჟინებით სდგას და არაფერს სთმობს.

თუ დღემდე საიდუმლოდ ინახავდენ პუანკარეს პასუხს ბალდვინის მიმართ, დღეს უკვე გამოქვეყნებულია ეს პასუხი, რომელიც აღნიშნავს უარს ინგლისის შუამდგომლობაზედ საფრანგეთსა და გერმანეთს შორის. ბელგიაც თავისი მხრით წინააღმდეგობაშია საფრანგეთის მიმართ.

საფრანგეთის ელჩი ამერიკაში ჟიუსერანი კატეგორიულად აცხადებს, რომ არავის არ შეუძლია საფრანგეთის პოლიტიკის შეცვლა სარეპარაციო საკითხში.

როგორც ამას წინათ აღვნიშნავდით არ იყო მოსალოდნელი ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება. მაშინ ვამბობდით, რომ ინგლისის პროექტი ვერ იპოვის თანხმობას საფრანგეთის მხრივ. დღეს უკვე ფაქტის სახით არის ასეთი მდგომარეობა შექმნილი „ევროპის აღმდგენელთა“ მუშაობა ვერავითარ დადებითი ხასიათის შედეგებს ვერ იძლევა. გერმანეთი კვლავ უმწეო მდგომარეობას განიცდის. გამოსავალი, შექმნილ მდგომარეობიდან, არა სჩანს. საფრანგეთის აქტიურ ოკუპატიურ ნაბიჯებს, გერმანეთი პასიური წინააღმდეგობით ხვდება.

გერმანეთის დაცემა შლისა და ანგრევს არა მარტო გერმანეთის ეკონომიკას, არამედ ევროპის ეკონომიკაზედ მოქმედებს უარყოფითად. ევროპის ეკონომიური რენესანსი მტკნარი ოცნებაა რუსეთ-გერმანეთის იზოლიაციის დროს. საბჭოთა რესპუბლიკებთან თანდათან იჭერენ სავაჭრო ურთიერთობას, გერმანეთი კი დაშლისა და განადგურების პროცესშია.

ინგლისმა განიზრახა გამოეცა სარეპარაციო საკითხის მასალები „თეთრი წიგნის“ სახით. ბელგიამაც განაცხადა „რუხ წიგნის“ გამოცემა. საფრანგეთს თავისი მოქმედებით. უკვე გამოცემული აქვს „შავი წიგნი“, მაგრამ ეს „წიგნები“ ვერაფერს იტყვის ევროპის აღდგენისათვის ევროპის აღდგენა მოხდება მაშინ, როდესაც ევროპის მშრომელნი შეთანხმებულად გამოსცემს „წითელ წიგნს“ და ბოლოს მოუღებენ ევროპის ფინანსიური ოლიგარხიის ბატონობას. ხანგრძლივი და დაუძლეველი კრიზისები თანდათან ამზადებენ ნიადაგს ამ დიდი ტეხილისათვის,

## რადიო-დეპეშები

### ერთა ლიგაში

**პარიზი.** 7 აგვისტო. ურთიერთი გარანტიათა ხელშეკრულების პროექტს იმუშავებს ერთა ლიგის კომისია. პროექტი განიარაღების შესახებ მოითხოვს შეთანხმებულ სახელმწიფოთაგან საურთიერთო ვალდებულებას, რათა თავი შეიკავონ ერთმანეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებისაგან და ერთმანეთს დაეხმარონ, უკეთუ განიარაღების შემდეგ რომელიმე ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოს გარეშე ვინმე დაესხმის თავს. ერთა ლიგა შეიმუშავებს იმ დახმარების ფორმას, რომელიც უნდა აღმოუჩინონ თავდასხმულ სახელმწიფოს. ერთა ლიგა აგრეთვე ვალდებულს გახდის თავდამსხმელ მხარეს, რათა მან აანაზღაუროს თავდასხმით მიყენებული ზარალი. ყველაზე უფრო ნამდვილ საშუალებათ, რომელიც უზრუნველყოფს ურთ-ერთის საფრთხეს, ერთა ლიგას მიაჩნია ყველა ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა პრინციპიალური ვალდებულება რომ უარი სთქვან ყოველგვარ სამხედრო, საზღვაო, ხმელეთისა და საჰაერო ოპერაციებზე თავისი სახელმწიფოს ფარგლის გარეშე: ერთა ლიგაში შეუსვლელ სახელმწიფოებს შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ ხელშეკრულებაში, ხელშეკრულებაზე თავისი ხელის მოწერით. ხელშეკრულება არავითარ შემთხვევაში არ არღვევს იმ უფლებებსა და ვალდებულებათ, რომლებიც გამომდინარეობენ სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის უკვე არსებულ ხელშეკრულებიდან.

**პარიზი.** 7 აგვისტო. გაზეთების სიტყვით, სესილს თათბირი ჰქონდა პუანკარესთან ურთიერთ გარანტიების შესახებ და აგრეთვე საფრანგეთ-ინგლისის მორიგ ურთიერთობის შესახებაც. სესილი ინგლისის მთავრობას გაუზიარებს პუანკარესთან საუბრის შინაარს.

**ჩინეთი**

**რომი.** 7 აგვისტო. „პტი პარიზიენ“-ს ცნობით, პეკინში მყოფი დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელი ჩინეთის მთავრობას დაემუქრა: თუ კვლავ გაგრძელდება მატარებელზე და რკინის გზაზე თავდასხმა, დაუყონებლივ შემოვიყვან საერთაშორისო პოლიციასო.

**საფრანგეთი**

**რომი.** 7 აგვისტო. პარიზის გაზეთები ეხებიან ფრანკის თანდათანობითს დაცემსს და აღნიშნავენ რომ ნიუ-იორკის ბაზრის მდგომარეობა არ ამართლებს ფრანკის დაცემას და ფრანკის კურსი ინგლისის ხელოვნური ზეგავლენით ეცემაო.

**საბერძნეთი**

**რომი.** 10 აგვისტო. ათინიდან მიღებულ ცნობებით, საბერძნეთში ამბოხებამ იფეთქა. სალონიკში ერთი ათასი მუშა შემოერტყა ბირჟას და დაანგრია. ადგილობრივი გარნიზონი მუშებს მიემხრო ამბოხების ჩასაქრობათ ჯარები გაიგზავნა. არეულობა დაიწყო სხვა ქალაქებშიც, ფიქრობენ, რომ არეულობა, უმთავრესად ეკონომიური მდგომარეობითა და მოსახლეობის უკიდურესი გაჭირვებით არის გამოწვეული.

**რომი.** 10 აგვისტო. ინგლისის ბანკმა 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი მისცა საბერძნეთის მთავრობას. იმ სესხის ანგარიშში, რომელსაც საბერძნეთის მთავრობა ახლო მომავალში გამოუშვებს.

**იტალია.**

**რომი.** 7 აგვისტო. ფაშისტების დიდი საბჭო თავის რეზოლიუციაში აღნიშნავს, რომ სანამ სახელმწიფო სავსებით ფაშისტური არ გახდება, ფაშისტებს არ შეუძლიანთ უარი სთქვან ფაშისტურ მილიციის „შავ ხალათიანებზე“. ფაშისტურ მილიციაში ნახევარი მილიონი ჯარისკაცია.

**პარიზი.** რომიდან იუწყებიან, რომ ფაშისტები თავს დაესხენ კომუნისტებს. შეტაკების დროს მოკლულია ერთი და დაჭრილია ერთი.

**რომი.** (დამახინჯებულია) ოლქში ფაშისტების რაზმები აიძულებენ ღარიბ გლეხებს—მოიჯარადრეებს ხელი მოაწერონ მათთვის არა ხელსაყრელ ხელშეკრულებას მემამულეებთან, სცემენ მთელს ოჯახებს და არ ზოგავენ ქალებსა და ბავშვებს და ესვრიან უიარაღო ხალხს. „ჯუსტიციას“ ცნობით, ნაცემი და დაჭრილია 60 კაცი—ბევრი ქალები და ბავშვები, რომელთაგან მრავალი ავად გახდა შიშის გამო. გროსსეტოში ფაშისტებმა სასიკვდილოთ სცემეს გაზეთ „ავანგარდია“-ს რედაქტორს, ჩევიტაში ფაშისტებმა მუქარით აიძულეს ორი მუშათა კოოპერატივი გადასულიყვნენ ფაშისტების მხარეზე. სან-ბარტელოში ფაშისტებმა ცეცხლი წაუკიდეს რესპუბლიკანურ კლუბს. პარმში მათ მოჰკლეს მუშა სოციალისტი.

**რომი.** 8 აგვისტო. „პაჯინა როსსა“-ს რედაქტორებმა მიმართეს თავის თანამოაზრეებს წერილით, რომელშიაც სთხოვენ მათ თავი შეიკავონ საპროტესტო დემონსტრაციისაგან, აგიტაცია გამართონ მთლიან მუშათა ფრონტის სასარგებლოთ და პარტიულ კონგრესის მოწვევა მოითხოვონ.

**პოლონეთი.**

**დაპირებებით უმასპინძლდებიან.**

**ვარშავა.** 8 აგვისტო. დოლარის კურსის შეუჩერებელი ზრდა იწვევს საოცარ სიძვირეს. ოპოზიციონური პრესა სიძვირეში ბრალს სდებს მთავრობას. მთავრობის პრესა ირწმუნება, რომ მიღებული ზომების საშუალებით სიძვირე შემცირდება... მემამულეებთან კონფლიქტის ლიკვიდაციის შემდეგ მრეწველებმა ნახშირის ფასი გაადიდეს 100 პროცენტით.

**ვარშავა.** 8 აგვისტო. ლეგიონერების ყრილობაზე ლვოვში სვენიცკი მოუწოდებდა ლეგიონერებს მზად იყვნენ, ვინაიდან ყოველდღე მოსალოდნელია მღელვარება. სეიმის ვიცე-მარშალმა ჟურაჩევსკიმ განაცხადა, რომ ლეგიონერები მზად უნდა იყვნენ წინააღმდეგობისათვის, თუ მემარჯვენეები შეეცდებიან გადატრიალების მოხდენას.

**ლატვია.**

**რიგა.** 8 აგვისტო. ლატვიის მენშევიკების გაზეთი სწერს: „აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იმ სახელმწიფოთა თავდაცვის კავშირის შექმნა, რომელთა შორის დიდ უთანხმოებას არ აქვს ადგილი. ასეთი თავდაცვის კავშირი უნდა შესდგეს ლატვიიდან, ესტონეთიდან და ფინეთიდან.

**რუმინეთი.**

**ვენა.** 8 აგვისტო. ოპოზიციონური გაზეთის ცნობით, ფაშისტებს დახმარებას უწევენ შინაგან საქმეთა მინისტრი ვაიტონიანი, სახალხო განათლების მინისტრი ანძელესკუ და გზათა მინისტრი მოტი.

**კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულება აზერბეიჯანში**

აზერბეიჯანის საგანგებო კომისიამ აღმოაჩინა კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულება ბაქოში. საგანგებო კომისიის დადგენილებით დახვრიტეს საიდუმლო საზოგადოების დამაარსებელნი და ხელმძღვანელნი: პოეტი დეგენი, სტუდენტი უსპენსკი, ჩერნიკოვი და ორტინოვი. საზოგადოების სხვა წევრებიდან მურზონს მიესაჯა 3 თვის დაპატიმრება, დანარჩენები განთავისუფლებული არიან.

**რუმინიისა და რუსეთის მოლაპარაკება**

რუმინიის წარმომადგენლები გაემგზავრენ ოვიდიოპოლში რუსეთის წარმომადგენლებთან შესახვედრათ, უკანასკნელ ცნობებით, მოლაპარაკება რუსეთისა და რუმინიის წარმომადგენლებს შორის დაიწყო. ახლო მომავალში განზრახულია რუმინიის ნავთსადგურებისა და ოდესის შორის გემების მიმოსვლის მოწყობა.

**ინგლისის მთავრობის მოქმედება გაკვირვებას იწვევს**

გაზეთ „მანჩესტერ გარდიენ“ სწერს: „ინგლისის მთავრობამ, რაკოვსკის გამო შექმნა რუსეთთან ახალი უთანხმოება. ბევრს უკვირს, როგორ არ ესმის ინგლისის მთავრობას, რომ რაკოვსკის წინააღმდეგ პროპაგანდაში ბრალდების წამოყენება უსაფუძვლოა და აგრეთვე ის, რომ რუსეთის ბაზრის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისის ვაჭრობისათვის“ გაზეთს მოყავს ინგლისის სენატორის ბუშის შემდეგი განცხადება: „თუ ჩვენ ვუცადეთ იმას, როდესაც საბჭოთა მთავრობა მოსძებნის ისეთს კაცს, რომელსაც არაფერი არ უთქვამს ინგლისის საწინააღმდეგოთ, ჩვენ მუდმივ მოლოდინში ვიქნებით. ასევე ძნელია ისეთ ინგლისელ დიპლომატის მოძებნა, რომელიც არ გამოსულა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ“. ბუშმა აგრეთვე სთქვა: „რადგანაც ინგლისის მთავრობას ესაჭიროება საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიურ ურთიერთობის დამყარება მან უნდა განაახლოს ეს ჩვეულებრივ გზით“.

**მთლიან მუშათა ფრონტის სასარგებლოდ**

იტალიის გაზეთ „პაჯინა როსა“-ს რედაქტორმა მიმართა თავის მომხრეთ მოწოდებით, რომელშიც მოუწოდებს მათ ხელი აიღონ საპროტესტო დემონსტრაციებზე, ამის ნაცვლად აწარმოონ აგიტაცია მთლიან მუშათა ფრონტის სასარგებლოთ და მოითხოვონ პარტიულ ყრილობის მოწვევა.

**პოლონეთი და რუსეთი**

ვარშავაში ჩავიდა პოლონეთის სავაჭრო წარმომადგენელი ლოპცკი, რომელმაც განაცხადა, რომ ის მიიღებს რუსეთთან ვაჭრობაში დაინტერესებულ ყველა პირებს.

**დემონსტრაციების აკრძალვის გამო**

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული გაზეთ „ფოლკსბლატში“ მოთავსებულია რეიხსტაგის წევრის ოკონსკას წერილი, რომელიც პროტესტს აცხადებს შინ. საქ. მინისტრის ზევერიენგის განკარგულების გამო, ქუჩებში დემონსტრაციების აკრძალვის გამო.

**პროტესტი**

ფინლიანდიაში კომუნისტების დაპატიმრების გამო, სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია ჰელსინგფორსში მუშათა სახლში იწვევს საპროტესტო კრებას. ფინლადიის სეიმის სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ წარუდგინა სეიმის თავმჯდომარეს მოთხოვნილება სეიმის დაუყონებლივ მოწვევის შესახებ. სეიმის თავმჯდომარემ უარყო ამ მოთხოვნილების ასრულება. გაზ. „სოც.-დემოკრატი“ მთავრობის

მოქმედებას უწოდებს ძალმომრეობას და მოითხოვს კომუნისტურ მოძრაობის დევნის მოსპობას, დაპატიმრებულთა განთავისუფლებას და პარტიისათვის კანონიერ არსებობის უფლების მიცემას.

**წამება „თავისუფალ“ ამერიკაში**

ამერიკის პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა გამოამჟღავნა მხეცური მოპყრობა დაპატიმრებულისადმი ამერიკის ციხეებში. პატიმრებს ხშირად აწამებენ, ასეთია „თავისუფალ“ ამერიკის წესები.

**სამხრეთ-სლავიის რუსეთთან დაახლოვება უნდა.**

სამხრეთ სლავიის გაზეთი „ტოგოვიცკი გლაზნიკი“ იუწყება რომ, სამხრეთ-სლავიის მთავრობამ მიიღო ზომები საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის დასამყარებლად. გაზეთი დარწმუნებულია, რომ მოკლე ხანში დაიწყება მოლაპარაკება.

**ორი დაბრკოლება**

გაზ. „ტაიმსის“ აზრით ინგლისის ცდას გერმანიის სამხედრო ვალების საკითხის მოგვარებაში წინ ეღობება ,ორი დაბრკოლება: პირველი—ფრანგების პოლიტიკა რურის ოლქში, მეორე—გერმანიის მთავრობის სრული უმოქმედობა. ინგლისის მთავრობამ ყველა ზომები მიიღო ამ საკითხის მოსაგვარებლად. მაგრამ არც ერთმა და არც მეორე მხარემ არ დაეხმარა მას.

**ლმობიერებას იჩენენ**

ამერიკის ლითონის ტრესტის გამგეობამ უარი განაცხადა 12 საათის მუშაობაზე, 6 აგვისტოდან ტრესტის ყველა სახელოსნოებში შემოღებულია 10 და 8 საათის სამუშაო დღე.

**კუნოს სიტყვა გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე**

გერმანიის პარლამენტის სხდომაზე კუნომ წაიკითხა მოხსენება გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ. კომუნისტები კუნოს გამოსვლას შეხვდენ შემდეგ ძახილით. „გაკოტრებული“, „ცოცხალი ლეში“ და სხვა, კუნომ განაცხადა, რომ გერმანია ახლო მომავალში არაფერს არ უნდა მოელოდეს საფრანგეთისა და ინგლისისაგან. საფრანგეთიდან შეთანხმების იმედი არ არის. ბრძოლა რურის ოლქში გაგრძელდება.

**რეინის ოლქის გამოყოფა**

რეინის ოლქში გაძლიერდა მოძრაობა რეინის ოლქის გერმანიისაგან გამოყოფის სასარგებლოთ. გამოყოფის მომხრენი იწვევენ კობლენცში ყრილობას.

**უმუშევრობა**

ინგლისში 13 ივლისს უმუშევართა რიცხვი უდრიდა 1.195,000 კაცის. ე. ი. წინა კვირასთან შედარებით უმუშევართა რიცხვი 10.700 კაცით გაიზარდა.

**ოსმალეთი და ევროპის სახელიწიფოები**

ოსმალეთის მთავრობას განზრახული აქვს დაიწყოს მოლაპარაკება შვეიცარიასთან, გერმანიასთან, ავსტრიასთან და უნგრეთთან სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობის განახლების შესახებ.

**ბრძოლას განაგრძობენ**

ლონდონის ნავთსადგურების მუშების ბრძოლა გრძელდება. ბურჟუაზიული გაზეთები მოითხოვენ მოისპოს გაფიცულთა ოჯახებისათვის დახმარების გაცემა, რადგანაც დახმარების გაცემა აქეზებს გაფიცულებს კომპარტია ესალმება მუშების სიმტკიცეს და ურჩევს მათ გაგზავნონ ინგლისის ყველა ნავთსადგურებში წარმომადგენლები თხოვნით დაეხმარონ ლონდონის ნავთსადგურების მუშებს.

**მელითონეთა გაფიცვა**

საფრანგეთში ალიეში მელითონეემა გაფიცვა გამოაცხადეს.

— **ტფილისის ბირჟა.**

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ბანკის ჩერვონცები | 24,700 |
| გირვანქა სტერლინგი | 24,400 |
| ჩეკი | 22,600 |
| დოლარი ეფექტივი | 5,250 |
| ჩეკი | 4,700 |
| ოსმალური ლირა | 3,450 |
| იტალიანური ლირა | 180 |
| ფრანგული ფრანკი | 250 |

— **საქონლის ბირჟა.** 11 აგვისტოს წინადადებაა; წყალსადენის მილები, სახურავის თუნუქი, თეთრი ინგლისური თუნუქი, ცეცხლმიუკარებელი აგური, რუსეთის ზეთი, ფანჯრის მინები, შუშის ბოთლები, კაუსტიკური სოდა, ხორბალი რუსეთისა, ლურსმანი, რუსეთის წუმწუმა „წითელი ვარსკვლავი“, „მეტეორი“, „ლენინის სახელობის“, ვოლ-ვის და ბერეზინისა, საპონი 1 ხარისხის მარკა „... მალი“ და ტუალეტისა, ... ცემენტი ნოვოროსიისა, ...

— მოთხოვნილებაა: ფქვილი 1 ხარისხისა, ... დლი ტყავეულობა, ცემენტი პორტლანდიისა, შ... იცარული ყველი, რკინის მავთული № 14, თეთ... თუნუქი ინგლისური, შაბიამანი ინგლისური, მა... ლი ქვა ნახიჩევანისა და დაფქვილი, ტომრები, ც... ილონის ჩაი, გოგირდი „ბუდა“, ხორბალი ყუბა... სა და ადგილობრივი, კორდონი № 60, 70, 80, ... ნიფოლი, ქერი, ზეთი მზესუქვრიტასი და სხვა.

# კონტრრევოლიუციონური საიდუმლო ორგანიზაცია ბაქოში

ამ წლის მარტის დასაწყისში აზჩეკას ეცნობა არა ლეგალური საზოგადოების არსებობა ბაქოში შემდეგი სახელწოდებით: „აღზნებულ გულთა ორდენი“, რომელსაც სათავეში უდგა სამი წევრისაგან შემდგარი ინიციატორთა ჯგუფი: დეგენი იური ევგენის ძე, პოეტი, ლიტერატორი; უსპენსკი ვადიმი ნიკოლოზის ძე, შვილი პროფესორისა, ბაქოს პოლიტეხნიკუმის სტუდენტი და აგრეთვე ჩერნიკოვი ვალერი კონსტანტინეს ძე, თავადი, თავისუფალი მხატვარი და სტუდენტი მთავარი პოლიტეხნიკუმისა.

საზოგადოების მიზანი იყო: ორდენის დროშის ქვეშ შეექმნათ მკაცრი, რკინის დისციპლინა, წარმოშობილი საშუალო საუკუნოების რაინდების კულტისაგან, სხვა და სხვა ზნეობრივი და ფიზიკური მოვალეობისაგან; ხელის მოწერით სიკვდილის შიშის ქვეშ აიძულებდნენ წევრებს შეენახათ ალთქმანი და ჩვეულებანი ორდენისა. ჩაენერგათ მაგარი და ძლიერი სული წევრებში, გაეძლიერებიათ მატერიალურად წრე და ამით შეექმნათ მეშჩანურ-თავადურ-ინტელიგენტური ცენტრი, რომლის გარშემო მოიკრიბებოდა ხუთი წლის განმავლობაში რევოლიუციით გაკოტრებული, დამფრთხალი და თავდაბნეული რუსეთის ინტელიგენცია. ორდენის შემოსავალს შეადგენდა საწევრო გადასახადი 25 მან. —1000 მან. ოქროთი.

აგრეთვე შემოსავლის გასაძლიერებლად ორდენმა დაადგინა გაეწიათ ასეთი სამსახური ბაქოს ნაფტმწარმოებელთათვის: დაეწვათ ბაქოს სამრეწველოები და საბჭოთა სამრეწველოების შიგნიდან დამსხვრევით პანიკისა და არევ-დარევის შექმნით აეძულებინათ საბჭოთა მთავრობა წასულიყო დათმობის გზაზე და დაებრუნებიათ ძველი მეპატრონეებისათვის რევოლიუციის დროს ჩამორთმეული ფაბრიკა-ქარხნები.

ამ მიზნისათვის ორგანიზაციაში მოწვეულ იქნა ყოფილი მეფის ოფიცერი ორტინოვი გეორგი რუდოლფის ძე, იგივე გრაფი ორტენაუ, კამანდირი სურახანის რაიონის აზნეფტის ქარხნების დამცველი რაზმისა.

ორტინოვმა აცნობა ინიციატორთა ჯგუფს, რომ მან იცის გადაწვისათვის მოხერხებული ად-ლები სურახანის რაიონის მრეწველობისა და ა-თქვა დახმარება ორმოცდა ათი შეიარაღებუ-კაცით,

ამ მიზნისათვის ორტინოვმა 26 ივნ-სურახანაში ინიციატორთა ჯგუფს დაათ-ლიერებია ის ადგილები რომლებიც მოხერხებუ-იყო გადაწვისათვის.

ღამით 1-ლი ივლისს აზჩეკამ მოახერხა და-რა მთელი ორგანიზაციის. დაკითხვის დროს ი-ციატორთა სამეულმა და აგრეთვე ორტინო-გამოტყდნენ, რომ მათ უნდოდათ სამრეწველო-თა გადაწვა და აგრეთვე დაცემის მოწყობა კერ-ოჯახებზე და მატარებლებზე ორდენის შემოსავ-გასაძლიერებლად; ამასთანავე თანახმად უსპენ-ჩვენებისა, მას უნდოდა გადაეწვა 2 კოშკი მ-სამრეწველოში და ორტინოვს და კოვრიგინს ს-კოშკი მე-6 სამრეწველოში სურახანის რაიონ-ყველა ბრალდებულნი კატეგორიულად უარყოფ-ნენ, რომ არ მიუღიათ არავითარი მონაწილე-სურახანის სამრეწველოების უკანასკნელ გადაწვა-მაგრამ ამასთანავე ერთხმად აღიარებდნენ, რ-გადაწვა მოხდა მოსწრებულ დროს რომელმაც მ-ცა საბაბი აეძულებიათ ნავთის მწარმოებლები-როს გალებისათვის.

ვინაიდგან გამოაშკარავდა, რომ ეს საიდუ-ლო ორგანიზაცია „აღზნებულ გულთა ორდენი“ არის ფაშისტური კონტრ-რევოლიუციონური წ-შექმნილი საბჭოთა რუსეთის ეკონომიური კეთი-დღეობის დასაშლელადა და მისი ეკონომიური სა-სრების შიგნიდგან დასასუსტებლად, რომელიც ბა-დიტურ გამოსვლებით ჰქმნიდა შინაურ არევ-და-ვას და შედგებოდა საბჭოთა წესწყობილების მართ მტრულად განწყობილი ელემენტებისა-ამისთვის აზჩეკამ დაადგინა დაესაჯა ორგანიზა-ის ყველა წევრები მათი დანაშაულის მიხედ-დეგენს, უსპენსკის, ჩერნიკოვს და ორტინოვს, რ-გორც მთავარ სულის ჩამდგმელთ ორდენისა მიე-ჯათ დახვრეტა. განაჩენი იქმნა სისრულეში მო-ნილი.

# ახალი ამბები

— **სახლი უმუშევარ ახალგაზრდათვის** შრომის კომის. კოლეგიამ დაადგინა იშუამდგომლოს მიწად-მოქმედ. კომის. წინაშე, რათა შრომის კომისარიატს დაეთმოს ორი სახლი, რომელიც მას სჭირდება უმუშევარ ახალგაზრდათვის. ეს სახლები არის კოჯრის შარა გზაზე. შიგ მოთავსებულია ბოტანიკურ ბაღის ლაბორატორია.

— **შრომის კომისარიატის კოლეგიამ** დაადგინა დაეკისროთ სახლის პატრონებს, რომ მათ შეიტანონ დამზღვევ კასებში დასაზღვევი გადასახადი მეეზოვეთათვის. ამისათვის გამოიცეს სავალდებულო დადგენილება.

— **შარა გზის გაყვანა.** შარა გზათა სარაიონო მართველობა შეუდგა პროექტის შედგენას სურამ-ძირულას შორის შარა გზის გაყვანისათვის. გზა გაკეთებული იქნება რიკორთის უღელტეხილით.

— **უფასო ნავთი შეუძლებელთათვის.** ბათომის „აზნავთის“ განყოფილებამ მაზრაში გაგზავნა 2.000 ფუთი ნავთი, რათა უფასოთ გაუნაწილონ შეუძლებელ მოსახლეობას.

— **ექსკურსანტები აფხაზეთიდან.** აფხაზეთის სახ. კომ. საბჭომ 100 მილიონი გადასდო ექსკურსანტთა საჭიროებისათვის, ვიდრე იგინი გაემგზავრებოდენ მოსკოვის გამოფენაზე.

— **მოსკოვის გამოფენაზედ მონაწილეობას** მიიღებენ საქართველოს ს. მ. უ. ს. თითქმის ყველა საწარმოვო განყოფილებანი. რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამთო განყოფილების ექსპონატებმა. საქართ. ხე-ტყის მასალამ, ლითონის განყოფილებამ, სახელმწიფო ღვინის წარმოებამ და სხვა.

— **სახელმწიფო ღვინის ტრესტი** მოსკოვის გამოფენაზედ გზავნის მრავალნაირ ღვინის ექსპონატებს: კონიაკს, ყურძნის არაყს და სხვა.

# პარადი

აუუუ, ბორჟომი.
ბორჟომ—ბილეთ.
პერესიადკა. უკანა ვაგონი.
ბაკურიანი. ცემი. წაღვერი.
ავჩქარდით. ავმაღლდეთ. დავჩქარდეთ.
ბორჟომკამ ყველა წაგვიღო ჩქრიალით.
სკვერი. ჩანჩქერი.
მოვდივართ. დაგვხვდით.
რა სიმაღლეა. სიახლე. ფირუზის მთები და ნისლის გვირგვინი.
„სად მივალთ, დედა?“
„ცხრილი შეცვლილა“.
„აილე?“
„ავილე.“
„თორმეტის ოცია,“
„უუ, როგორ ცივა!“
„მაფრაშას მიხედე, ანეტა!“.
რა, დანისლულია მოაჯირი, სველი.
კუკუშკა. კუკუშკა.
რა ჩქარა მივდივართ.
ქალის თმებივით ჩამოეშვა ნაძვნარის მთები.
სიბნელეა და სილურჯე-გარჩენილი მთებიდან მთებ შუა.
ამაღლდა მთები.
თმა-გაწეწილი მისდევენ კუკუშკას.
უჰ, რა კარგია.
„მოაჯირს ხელი არ გაუშვა. გადავარდები“.
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“...
უუხ, მთები! ღმერთო. კომსომოლა.
ეხ, უცნაური საქართველო.
გასწი, კუკუშკა, კუკუშკა—დუშკა!
როგორ აწვალებს ამ ქალს ნახველი.
ო, ეს ნახველი.
ბილეთი—წაღვერი.
წაღვერი. წაღვერი.
„რა დროს სადილობ?“
ღმერთო ამ წვიმებს რა გადურჩება.
ს. ს. რ. პ. კ. დასასვენებელი სახლები.
კეხხობი—6.
დღეს პარკში დიდი სეირნობაა.
„მოხვალ წყაროზედ?“
ტფილისი. ლოლიძე.
„სურათი ერთად გადავიღოთ“.
„ქელეზნი ვადაა, კამუ ნადა!“
„სადილი პურით შვიდასია“
რა სიძვირეა.
ვირები ყროყინებენ.
სადღაც სიცილია:
ალბათ თორმეტია.
ღმერთო გააწყალე.
ღამდება. ბაღში სეირნობაა.
„შეხე, რა კარგი თვალებია“.
„როგორ დავიკელი“.
„რა მოიმატე?“
მატარებელი გამოვიდა.
„სახლიდან ფულებს ჩამოველი“.
„დედიკო, მაპატიე. პასუხი ვერ გაღირსე.
ტიმოთეს უბანო, ძველი მონასტერი.
რა სასაცილოა. მე და ურჯულო საქართველო.
„ჩემი ციცინათელაა“...
მზეთა-მზე. მზე და მზე.
ცხრა-წყარო. ცხრა მზე.
ბავშვებო, ისმინეთ! ყველას შეგიყვარებთ, თუ დაგესიზრმებათ, თქვენ ცხრა თვალა მდევი.
„სადგურზე გავიდეთ. მოდიან. დავხდეთ“.
ამბობენ: წაღვერში ბინები არ არის.
წრეულს, როგორი წვიმებია და სულ სხვა ხალხი.
თუმცა სტუდია. „სინათლე“. ბრიანსკი.
აფთიაქში tiocoli გამოილია.
ვალიუტამ ისევ აიწია.
„ბედნი შალიკო“.
მრავალ ჟამიერ.
სენატორია.
„მე ხვალ მივდივარ“.
„შენ?“
„ზეგ“.
„წუხელის ქმარი ჩამომივიდა მეც“.
„წრეულს რძე ყოვლად საძაგელი იყო“.
უკვე აცივდა.
რა ამბავია ნეტა ტფილისში.
„აბაკელია გაემგზავრა“.
„გახსოვს ციხეზე?“
„ცხრა-წყარო?“
მზე-მზეს არ გავდა.
„სხვათა შორის როგორ აცივდა“.
„მოიხურე“.
მთვარე გაყვითლდა.
„რა კარგი იყო“.
ნახვამდის. მშვიდობით.
ერთად ვიყავით. გაგაცილებთ.
ჩვენი ყვითელი ხრეშის ბაქანი, ეხლა როგორი სველი რჩება და ქუფრი, როგორც ყავის-ფერი.
„ქალაქში თურმე მილიონი გახდა შაქარი“.
სალამი სოსოს.
პარკში არავინ აღარა სჩანს.
ნაცნობი სახეები ირევიან მოგონებებში.
ხშირ-ხშირათ წვიმდება და ქარებია.
ქუთაისში მაჭარი და ნედლი სიმიდი შემოსულა.
ჩვენს სადგურზე-კი გულდაწყვეტით მიაცილებენ, მიგვაცილებენ.
მთებიდან ნახირს ერეკებიან.
ლაპარაკია: წაღვერში მეტი—არ ღირს დარჩენა.
მიდიან. მიდიან.
სოფელ ბაქანზე დგანან ძვირფასები.
მუდამ მოხუცი აძლევს ზარებს.
საზიზღარი.
„ჩვენც მალე წავალთ“.
მტრედის გუნდივით იშლებიან ხელსახოცები.
სადღაც კოლომბინა ცრემლებით ახველებს და უცბათ ჰკუმავს სისხლიან ჩარბებს.
ფაცა-ფუციაა. ყიჟინა და ისტერია.
ო, მემანქანე, მოიხედე, როგორ ცვივიან მატარებლის პერილებიდან, ხელსახოცებში გახვეული თბილი გულები.
ჯერ დაიცადე—მემანქანე.
ნუ უჯერი სადგურის უფროსს.
ის მუდამ ასე მიაცილებს, ერთ ვიწრო გზაზე ამდენ ძვირფასებს და მანქანაზე რკინის კვერთხის გადაცემა უფრო ამძიმებს, ვინემ ეს ცრემლით გამოთხოვება.
„მიდიხართ?“
„მშვიდობით. ლადოს მოკითხვა. ელისაბედს აკოცებავშვებს მოუარე. მურაბა განჯინის უკანა დგას“.
„არ დამივიწყოთ!“
ესენი რჩებიან. რა სიცილია. რას იცინიან.
მშვიდობით. შევხვდებით.
წაღვერი. ნახვამდის.
გაისათ. გაისს.
კუკუშკა. უუუ—უუ!..
თუ, საძაგელი მემანქანე.
ვილაც ჯოხით, სოფელ ხრეშზე სწრაფათ ხაზავს:
„მშვიდობით—წაღვერი“.
„ნინა—შალვა“.
მშვიდობით, შევხვდებით.
წაღვერი, ნახვამდის.
აგერ ნაცნობი ნაძვნარის ხე.
რა მოღლილიყო, როგორც გოდოლი.
და ჩვენი ოცნება.
ეს, ჩვენი სახლის სახურავი.
უუხ, დაიფარა.
როდის ვნახავ.
ფუ, საძაგელი მემანქანე.

**შალვა სოხლანი.**

წაღვერი.
1923 წ. 7|VIII.

# მოხუცებულობასთან ბრძოლა და გაუმაწვილება.

9.

**ბროუნ-სეკარის ცდები. პროფ. პელის „სპერმინ“ ახალგაზდა და მოხუცი ვირთაგვა. გაახალგაზ-ვება ვირთაგვების. სათესლე მილის გადასკვ- გაახალგაზდავება დედალ ვირთაგვის რენტგ- სხივებით და საკვერცხეების გადანერგვით.**

ეგეთნაირად საკითხის დასმა არ წარმოად-ახალ იდეას: ჯერ კიდევ მეტჩენიხამდის საფრა-თის განთქმულმა ფიზიოლოგმა ბროუნ-სეკ-1889 წელში გამოაქვეყნა შედეგები ეგეთ გ-ცდებისა. ბროუნ-სეკარმა აღნიშნა, რომ იმ ც-ლებების შეჩერება და დაკარგულ თვისებების დგენა რომლებსაც ადგილი აქვთ მოხუცებულ-ში შესაძლოა ცხოველთა სასქესო ჯირკვლებ-მიღებულ ნივთიერებათა შევლენით. ის შემდეგ-რად მოქმედებდა: აკეთებდა ახალგაზრდა ბაჭი-ახალგაზდა ძაღლის სათესლე ჯირკვლიდან ტრაქტს და კანქვეშ უშხაპუნებდა, როგორც მ-ცებულებს ისე თვითონაც. აღმოჩნდა, რომ ე-ექსტრაქტი რამოდენიმეთ აახალგაზდავებდა განიზმს: მოხუცს ენერგია ემატებოდა, ფიზ-ძალა უბრუნდებოდა, შრომის უნარი უორკეცდ-და—ერთი სიტყვით ორგანიზმი ნაწილობრივ წვილდებოდა.

ბროუნ-სეკარის ცდებმა შედეგათ ის მოი-რომ მეცნიერებმა მას შემდეგ მთავარი ყურა-ბა შინაგან სეკრეციის ჯირკვლებს მიაქციეს სწორედ აქედან საძირკველი ჩაედგა ახალ სწა-შინაგან სეკრეციის შესახებ.

მე-90-იან წლებში პეტერბურგელმა ფი-ლოგმა პელმა ფართოდ დაიწყო გავრცელება მიერ, სათესლე ჯირკვლიდან მიღებულ ნივთიერ-ე. წ. „სპერმინ“-ის, რომლის თავდაპირველი დ-შნულება იყო გაახალგაზდავება და ორგანიზმის ქრალ ძალების აღორძინება.

როგორც პირველის, ისე მეორე მეცნი-აღმოჩენებმა თავდაპირველად დიდს სენსაცია მოიწვიეს, მაგრამ აღფრთოვანებას მალე ფრ-შეეკვეცა, რის მიზეზი ერთის მხრივ ის იყო, მათი მოქმედება ხანძლიერი არ აღმოჩნდა, რის მო საჭირო ხდებოდა დრო გამოშვებითი შევ-და მეორე მხრივ ადამიანის სხეულში შექონ-სხვა ცხოველთა გორმონები, რომლებიც სრულ არ შეეთანაბრებოდენ ადამიანთა ორგანიზმის თუ იმ ქსოვილს.

## პარტიაში

**საწევრო ბილეთების შემოწმება.**

8 აგვისტოდან სწარმოებს პარტიის საწევრო ბილეთების შემოწმება. პარტიის ყოველი წევრი, ჩაწერილი ტფილისის რომელიმე ორგანიზაციაში, ვალდებულია გამოცხადდეს ბილეთის შესამოწმებლად საღამოობით 6—8 საათზედ პარტიულ კლუბში. ბილეთების შემოწმება უნდა დასრულდეს 14 აგვისტომდე.

ტფ. კომიტეტის მდივანი **მ. ხეფერთელაძე.**

---

სამშაბათს, 14 აგვისტოს, საქ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის კლუბში ამხ. პ. ჭანიშვილი წაიკითხავს მოხსენებას ქალთა წრისათვის შემდეგ თემაზე: **„ქალის მდგომარეობა უძველეს ხანაში“**. შესვლა უფასოა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

---

დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია მესამე რაიონის კრება. (კახეთის მოედანი, № 2) დასწრება სავალდებულოა.

პ. მდივანი **მ. ხეფერთელაძე.**

---

კვირას აგვისტოს 12-ს. დღის 12 სათ. დანიშნულია ტფ. მე-II, რაიკომის სხდომა მის გაგრძელება. განსახილველია ფრიად ს[ა]სწრაფო საკითხები. როგორც წევრთა ისე კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

**მდივანი.**

## პროვინციაში

**ჯუნქუათის უბანი (ქ. ლანჩხუთი).** გაზეთ კომუნისტის № 179 მოთავსებულია „ვინმე“-ს ფსევდონიმით პატარა წერილი. მას სურს მკითხველს გააცნოს ეს უბანი და მისი კულტუროსნობა, მაგრამ მას არ შეუძლია ეს; მას ისიც კი არ სცოდნია რომ ჯუნქუათი სოფელი არ არის, არამედ წარმოადგენს ქ. ლანჩხუთის ერთ ერთ უბანს. ამხ. ვინმეს წერილი სავსეა ცალმხრივი ცნობებით და ჭეშმარიტების გადამახინჯების სურვილით. ჩვენი მიზანია მკითხველ საზოგადოებას გავაცნოთ საქმის ნამდვილი ვითარება. „სკოლა აშენებულია თავიდანვე დაბალ და ჰიგიენის მხრივ შეუფერებელ ადგილას, სახელდობ, სასაფლაოსთან, მთებით შემოფარგლულ ადგილას, რის გამო[ც]ა[ც] ადგება ნასადილევს გარშემო სინესტეა, რაც ცუდათ მოქმედებს ბავშთა ჯანსაღობაზე; სწორეთ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ყოველ მოწაფეთა საგრძნობი რიცხვი ავათ ხდება ციებ-ცხელებით და სუროვანდითო“— სწერს ამხ. ვინმე.

ხსენებული სასწავლებელი, რომ მართლაც ისეთ ჰიგიენურ ადგილას იყოს მოთავსებული, როგორც მოგვითხრობს ამას ამხ. „ვინმე“ მაშინ ამას, საგანგებო კომისია, მოვლინებული სამაზრო განათლების განყოფილებისაგან თავის ოქმში შეიტანდა დასაყრდნობ მიზეზათ, მაგრამ მას ეს არ შეეძლო ექნა, ვინაიდან ის პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო მიზეზის სისწორეში და ამის დამტკიცება მას არ შეეძლო არავის წინაშე.

მართალია ამხ. „ვინმე“, რომ სასწავლებელი მოთავსებულია ყოფილ ეკლესიის ეზოსთან, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ დღეს ის ეკლესია გადაკეთებულია სახალხო სახლათ და მისი ეზოც სახალხო სახლის ეზოა და არის ზომები მიღებული სასაფლაოს სხვა ადგილას გატანისათვის. ზედმეტია პასუხის გაცემა მაზე, თითქოს სასწავლებელს მზე „ნასადილევს“ ადგებოდეს. გასაკვირი იქნებოდა ამისი თქმა სხვისაგან, მაგრამ [illegible] ამხ. „ვინმე“-საგან; ამხ. ვინმეს [illegible] თებია და კიდევაც [illegible] ჩამოთვლილ ვითომდა მიზეზების გამო მოწაფეებში გამეფებული იყოს სხვა და სხვა გვარი ავათმყოფობა. მაგრამ ეს სიმართლე არ არის. სინამდვილეში ამის დამტკიცება მას არც ერთი მაგალითით არ შეუძლია. მიუდგომელი სინამდვილე კი შემდეგში მდგომარეობს: ხსენებული სკოლა მდებარეობს უბნის გეოგრაფიულ ცენტრში, აქვე გადის მთავარი გზა ლანჩხუთ-ოზურგეთისა. აქვე თავს იყრის გზები უბნის ყველა კუთხიდგან, სასწავლებელს ირგვლივ ჩამოუდის პატარა მდინარეები, რომლებიც თავისებურ სილამაზეს აძლევს მიდამოს და სხვ.

ეხლა საკითხავია სად გადაჰქონდათ სასწავლებელი და როგორი ახალი ადგილი გამონახეს მის დასადგმელათ. პედაგოგიური თვალსაზრისით სრულიათ შეუფერებელია ეს ადგილი სკოლისათვის, ის ადგილია მოსახლეებ შორის, მთელი ზაფხულის განმავლობაში წყალი შრება და შორე მანძილიდან ბოჭკებით ეზიდებიან, ზამთარში იცის ცივი ქარები; ნიადაგი მწირია, თიხიანი, რის გამოც გზა მთელი ზამთრის განმავლობაში ტალახთება, (როცა უმთავრესათ სწარმოებს მეცადინეობა) და ბავშვებს მიმოსვლას უძნელებს. რაკი კომისიამ არ მიიღო მხედველობაში ყოველივე ეს და გადასწყვიტა სასწავლებლის ისეთ შეუფერებელ ადგილას გადატანა, ამიტომ იყო, რომ ჭეშმარიტებით დაინტერესებულმა საზოგადოებამ და საკითხი სწავლა განათლების კომისარიატში გადაიტანეს.

დარწმუნებული ვართ, რომ ინსტრუქტორს, რომელიც განათლების კომისარიატიდან იქნება გამოგზავნილა, არ დასჭირდება ამხ. ვინმეს მოწოდება და ის საკითხის ყოველმხრივ გაცნობის შემდეგ თავის მიუდგომელ დასკვნას გამოიტანს.

**„ობიექტი“.**

## მეცნიერება და ტექნიკა

**გემი—გიგანტი.**

ამ დღეებში ამერიკაში ზღვაში ჩაუშვეს მთელ მსოფლიოში უდიდესი გემი „ლევიაფანი“, რომელიც ახლოხან გამოუშვეს რემონტიდან.

„ლევიაფანი“ არის გერმანიის ყოფილი გემი, 1914 წელში აშენებული, რომელიც ომის შემდეგ ერგოთ ამერიკელებს, ეს გემი იმდენად დიდია, რომ ესპანეთის ცნობილ არმადის ყველა მუშები ერთად აღებული უფრო მცირეა—ვიდრე ეს უზარმაზარი გემი „ლევიაფანი“.

ამ გემის შეკეთება დაუჯდათ ამერიკელებს 6.110.000 დოლარი, ე. ი. იმდენი, რამდენიც დასჭირდებოდა სრულიად ახალ საოკეანო გემის აშენებას.

ინგლისის ცნობილი გემები „აკვიტანია“, „ოლიმპიკ“-ი და „ბერენგარია“, რომელთა სიდიდით გაკვირვებულნი რჩებოდენ ყველა ისინი, ვინც ოდესმე ახერხებდა მათ ნახვას, „ლევიაფან“-თან შედარებით მეტათ პატარათ სჩანან, „აკვიტანიაზე“ კი მარტო ცეცხლის გამჩაღებელთა რიცხვი 120 კაცს უდრის. „ლევიაფანი“ მართლაც, რომ სასწაული—გემია, რომელმაც თავი მოუყარა მთელს თანამედროვე კომფორტს, წვრიმალებამდისაც კი. მარტო ერთი ბიბლიოთეკა, რომელიც მოწყობილია გემზე, დაჯდა ნახევარი მილიონი დოლლარი.

უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ მასზე მგზავრობა სიძვირის გამო ყველას არ შეუძლია. მშვენიერი დარბაზები და თეატრი, რომელნიც მოწყობილია ზღვის ამ გიგანტზე, გაკვირვებას იწვევენ თავის მშვენიერებით და სილამაზით. მაგრამ ყველაზე უკეთესი—ეს ბაღებია, რომლებიც გემზეა მოწყობილი.

თვითეულ მგზავრს, რომელიც ასეულ მილითაა დაშორებული ნაპირს, შეუძლია მგზავრობის დროს დაისვენოს ბაღში.

პირველი კლასის კაიუტები ისეა მოწყობილი, რომ იქ მჯდომ იდამიანს სრულიად ავიწყდება, რომ მის ქვევით ზღვის სიღრმეა. მას ჰგონია, რომ ის დიდი ქალაქის პირველხარისხოვან სასტუმროში სცხოვრობს. აი ეს-ეს არის დაიგუგუნებს ქუჩაზე ავტომობილი ანდა დარეკავს ტრამვაის ვაგონის წამყვანი, ფანჯარაში კი შემოვარდება ვაჭრის ყვირილი, რომელიც თავის საქონელს აქებს.

კაიუტები შეერთებულნი არიან ერთმანეთთან ტელეფონით. მგზავრისთვის საჭირო არ არის კიბეებზე ამოსვლა ქვედა იარუსის კაიუტებიდან გემის აივანზე ამოსასვლელად. ამისათვის მოწყობილია ლიფტები.

დავიწყებულნი არ არიან აგრეთვე სპორტსმენები. მათთვის არის აუზები საბანაოთ, ტენისის სათამაშო ადგილები ბილიარდი და სხვა.

ყველა ამის გარდა თვითეულ მგზავრს ყოველ წუთში შეუძლიან ისარგებლოს საპარიკმახეროთი, სურათი გადაიღოს ფოტოგრაფიაში, და თუ სურს რადიო-დეპეშა გაგზავნოს ქვეყნის ყველა კუთხეში, რომელსაც მიიღებს მისგან გემის რადიო სადგური და გაგზავნის დანიშნულებისამებრ. მთელს ქვეყნიერებას თითქოს მოწყვეტილი მგზავრი, მიუხედავათ ამისა ყოველდღე იღებს გაზეთს, რომელიც გემზე გამოდის და კითხულობს მასში უკანასკნელ ახალ ამბებს, რომელნიც ქვეყნის ყველა კუთხეებიდან არიან მიღებულნი რადიოთი.

საფრანგეთში ვიეი-ნევაჟის ჰაეროდრომზედ ამასწინათ გამოსცადეს ბუშე დაპარისონის მიერ გამოგონილი ჰაეროპლანი, რომელსაც განაგებს ელექტროს ტალღები. ყუმბარების საზიდავმა მძიმე აეროპლანმა, მიუხედავად ძლიერი ქარისა, სისწორით შეასრულა ყველა მანევრები. აპარატის დეტალებს დიდ საიდუმლოდ ინახავენ. ვიცით მხოლოდ, რომ ჩამოშვებასას მოტორი ჩერდება მიწიდან 3 მეტრის სიმაღლეზე. აპარატის გაჩერება შეიძლება აგრედვე რა სიმაღლეზედაც გნებავთ.

---

**პროფესორ შტეინახმა** ზემოდ დასმულ კითხვების გამოსარკვევად ახალ ცდებს შეუდგა. ცდებისათვის მან აირჩია ვირთაგვები, არა მარტო იმისათვის, რომ მათი მოვლა-გამრავლება ლაბარატორიულ პირობებში ადვილია, არამედ იმისათვისაც, რომ ამ ცხოველებზე თვალსაჩინოდ შეიძლება მოხუცებულობის პროცესის თანდათანობით განვითარების შემჩნევა.

ვირთაგვის მოხუცებულობა ძლიერ წააგავს ადამიანის მოხუცებულობას. მოხუცებულობა ეწყება მათ ზურგზე, ბარძაყზე და სხეულის სხვა და სხვა ადგილებიდან თმის ჩამოცვენით, შემდეგ ვირთაგვა ხდება, ქონი თანდათან აკლდება, იკლებს წონაც— ასე რომ ბოლოს ძვალ-ტყავი ღა რჩება. თვალები ემღვრევა, მხედველობა უსუსტებდა აგეთივე ატროფიულ მოვლენებს აქვს ადგილი სასქესო აპარატშიაც: სასქესო აპარატში მომხდარი ცვლილებები ძლიერ წააგავს იმ ცვლილებებს რომლებიც ვითარდებიან დაკოდვისა გამო.

ცვლილებები ეხება აგრეთვე ვირთაგვას სხვა და სხვა გვარ მოქმედებებს. ახალგაზდა მამალი ვირთაგვა ჩვეულობრივ გულოვანი, მკვირცხლი, მხნე და მხიარულია; შეხვდება თუ არა მეორე მამალს ის ემზადება შეტევისათვის და დაუყონებლივ უტეხავს ჩხუბს, ხოლო როდესაც დედალს ხვდება, სდევნის, ელაქუცება და ეთამაშება.

ამასთანავე ვირთაგვა სისუფთავის მომეტებულად მოყვარულია: მუდმივ იწმინდება, სუფთავდება, ბანაობს.

ბებერი მამალი კი ყოველივე ჩამოთვლილ თვისებებს მოკლებულია: ის ზის, განმარტოებულათ სადმე ყურეში, ყოველისფერს ინდიფერენტულად უცქერის, არ სდევნის დედლებს, არც ჩხუბის ხასიათზეა. თუ ვინმემ ჩხუბი აუტეხა პასუხს არ აძლევს, ან ძლიერ სუსტად იცავს თავს, უმეტეს ნაწილად გდია და სძინავს; სუნთქმა გაძნელებული აქვს, სხეული მოკუნტული, თავი ძირ დახრილი, თვალები ამღვრეული, ნახევრად დახუჭული; სისუფთავისათვის სრულიად არ ზრუნავს, ზოგჯერ ეგრე ბინძურდება, რომ ტილიანდება.

თავისი ცდები პროფ. შტეინახმა ეგეთ მოხუც ვირთაგვებზე მოახდინა.

ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ გორმონებს იმუშავებს სათესლე ჯირკვლების შუალა ქსოვილი, დავინახეთ ისიც, რომ, რაც უფრო მეტს მუშაობს ეს ქსოვილი იმდონად უფრო მომარჯვებულად და ახალგაზდათ გრძნობს თავს ცხოველი. მაშასადამე თუ შევძლებთ რამენაირად ამ შუალა ქსოვილის მომეტებულად ამუშავებას და აღორძინებას, გაზრდა-მომატებას, ამ შემთხვევაში გორმონები საკმაოდ გამომუშავდება ორგანიზმის გაახალგაზდავებისათვის.

ეგეთნაირი აღორძინება და გაზრდა შეგვიძლიან მოვახდინოთ სხვა და სხვა საშუალებებით: ქიმიურ ზეგავლენით, რენტგენის სხივებით და ოპერატიული მოქმედებით—სახელობრ სათესლე ჯირკვლის თესლსადენ მილის (სათესლე გრეხილის) გადასკვნით.

რა ხდება უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც სათესლე მილს ვსკვნით და სათესლე სითხეს ხელს უშლით გარე გამოდენას?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ სათესლე მილაკების და შუალა ქსოვილის მოქმედება შემდეგ დამოკიდებულებაშია: რაც უფრო მეტი მუშავდება და გარეიდინება სათესლე მასალა სათესლე მილაკებიდან, მით უფრო მცირეოდნად მუშავდებიან გორმონები შუალა ქსოვილის მიერ და რაც უფრო ორგანიზმში სქესობრივი მოქმედება სჭარბობს, მით უფრო ადრე სჭკნება ის.

როდესაც ჩვენ ხელოვნურად—ოპერაციის საშუალებით ვსკვნით სათესლე მილს, სათასლე მილაკების მიერ გამომუშავებულ მასალას არ შეუძლია გარე გამოდინდეს (იმის გამო, რომ გარე გამოსადენი მილი გადასკვნილია) ამის გამო ის უჯრედები, რომლებიც ამ მასალას იმუშავებენ თან და თან უმოქმედობას ეჩვევიან, ეძლევიან, პატარავდებიან და ბოლოს მათი სრული ატროფია ხდება. შუალა ქსოვილი კი, რომელიც ეხლა მარტოდ-მარტო თვითონაა ბატონ-პატრონი მთელი იმ მასაზრდოებელ მასალის, რომელიც სისხლს მოაქვს და რომელსაც აქნობამდის სათესლე მილაკებსაც უზიარებდა, იწყებს მომეტებულად საზრდოობას, გამრავლებას, გაძლიერებას და მომეტებულად გორმონების გამომუშავებას, რაც ცხადია სათანადო გავლენას მოახდენს ორგანიზმზე.

თუ როგორი ცვლილებანი მოხდა მოხუც ვირთაგვების ორგანიზმებში ამას ჩვენ დავინახავთ შტეინახის შემდეგ ცდების აღწერაში.

პროფ. შტეინახი ცდებისათვის ირჩევდა ეგეთ ვირთაგვებს, რომლებსაც უკვე თვალსაჩინოდ ჰქონდათ მოხუცებულობის ნიშნები—ამოცვენილი ბალანი, ამღვრეული თვალები, მოკუნტული ზურგი და სხვ. ის სჭრიდა მათ მუცელზე. დადასტურდებოდა რა მასში, რომ მოხუცებულობის ნიშნები სხეულის სიღრუვეშიც აქაც საკმაოდ განვითარებულია—ის შემდეგ ახდენდა ოპერაციას—სათესლე მილის გადასკვნას—ეგეთნაირად, რომ არ დაეშავებია სათესლე ჯირკვლში მიმავალი სისხლის ჭურჭლები, შემდეგ ამისა მუცლის სიღრუვეს ისევ კერავდა.

2—3 კვირის შემდეგ ოპერაცია გადატანილი ვირთაგვა სულ სხვა სახეს და შეხედულებას იღებდა: ზურგზე მას ახალი ბალანი უჩნდებოდა, წონას იმატებდა, ცხოველის გარეგან შეხედულებას უკეთესობა ემჩნეოდა; ამასთანავე სრულიად უსხვაფერდებოდა მოქცევა: ვირთაგვა მხიარულდებოდა, ხდებოდა მოცოცხლებული, ცქვიტი. ერთი თვის შემდეგ უბრუნდებოდა სქესობრივი ლტოლვაც, ე. ი. როდესაც მასთან ერთად სხავდენ მეორე მამალს ჩხუბის გუნებაზე მოდიოდა, ხოლო როდესაც დედალს უსხავდენ ხურაობას იწყებდა.

ორ-სამ თვის შემდეგ შტეინახი განმეორებით სჭრიდა ვირთაგვას მუცელს და ნახულობდა, რომ აქაც მრავალგვარი ცვლილებები მომხდარა: ძლიერ მომატებულა კანქვეშა ცხიმი, აგრეთვე გადიდებულან კუნთები და შინაგან სასქესო აპარატსაც ნორმალური სახე მიუღია.

ეგეთ მდგომარეობაში რჩება ვირთაგვა 6—8 თვეს, შემდეგ-კი კვლავ ეწყება განმეორებული სიბერე, რომელიც ეხლა ძლიერ სწრაფად მიმდინარეობს და მალე კიდევაც კვდება.

ცხოველი კვდება მაგრამ ამ ოპერაციით მისი სიცოცხლე ხანგრძლივდება მთელი სიცოცხლის ერთ მესამედ ნაწილით: ჩვეულობრივ ვირთაგვა სცოცხლობს მხოლოდ 30 თვეს, ოპერაცია მოხდენილები კი 40 თვემდის.

სათესლე გზების გადასკვნა ერთის ან ორივ მხრივ იწვევს ჯირკვლების ზრდას და გადიდებას, სასქესო აპარატის აღორძინებას და მოხუცებულობის ნიშნების დაკარგვას. სქესობრივ გორმონების გამო ორგანიზმი სუქდება, ბალანი ამოდის, სხეული სწორდება, თვალებს სიბინდე ეკარგება, კუნთები მატულობს და ძალოვანდება; მადა იხსნება, სისუსტე და მოდუნება ქრება, დაკარგული გრძნობანი ისევ ვითარდებიან, უბრუნდება აგრეთვე წინანდელი ჩვეულებანი და დასასრულ ულვიძდებათ სქესობრივი ლტოლვა და ვნება, ზოგჯელ სავსებითაც.

აქედან შტეინახმა მეორე დასკვნა გამოიტანა ცხოველის ქსოვილებს არ აქვთ განსაზღვრული პერიოდი არსებობისა—ე. ი. ამა თუ იმ ქსოვილს პირობების მიხედვის თანახმად შეუძლიან იცოცხლოს ცოტა თუ ბევრ ხანს და თუ მოხუცებულობაში გადასული ქსოვილები რამენაირად მიიღებენ შინაგან სეკრეციის ჯირკვლების სეკრეტებს, მათ კვლავ შეეძლებათ აღდგენა თავის მოქმედებისა.

ეს გორმონები სიბერის დაწყებამდის წარმოადგენენ ალმძვრელ საშუალებანს, რომლებიც ხელს უწყობენ ქსოვილთა დადებით საქმიანობას და წინაალმდეგობას უწევენ მოხუცებულობის სხვა და სხვა შხამებს.

ეგეთივე ცდები მოახდინა შტეინახმა დედალ ვირთაგვებზედაც, ხოლო რადგანაც დედლებში საკვერცხეები პირდაპირ არ არიან შეერთებული კვერცხსავლებთან, არამედ თავისუფლად სძევენ სნეულის სიღრუვეში, ამისათვის კვერცხსავლების გადასკვნა უშედეგო იქნებოდა. შტეინახმა ამ შემთხვევაში საკვერცხების სასქესო უჯრედების მოსაკლავად რენტგენის სხივებს მიმართა. ეს ცდები ჯერ არ დაუმთავრებია შტეინახს, მაშასადამე შედეგებიც ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია.

დედლების გასაახალგაზდავებლათ ამოჩენილი იყო აგრეთვე მეორე გზა: შტეინახმა ჩაურგა (კანქვეშ ან სიღრუეში) მოხუცებულობაში მყოფ დედალს ახალგაზრდა დედლის საკვერცხეები. გამოირკვა რომ ამ მეთოდით შესაძლებელი ყოფილა დედალ ვირთაგვების გაახალგაზრდავება და სიცოცხლის გახანგრძლივება 8 თვით, შემდეგ ამისა კი ვირთაგვა მეორე მოხუცებულობის ზიარი ხდება და კვდება.

ეგეთმა ცდებმა ნათელყვეს, რომ პრინციპიალურად დედის ორგანიზმი არ განირჩევა მამლის ორგანიზმისაგან და აგრეთვე ექვემდებარება სასქესო გორმონების მოქმედებას, ხოლო დედლების გასაახალგაზდავებლათ საჭიროა სხვაგვარი მეთოდები უმფრო რთულნი და ძნელად მოსახდენნი, რაც სქესობრივ ორგანოების სხვა და სხვა გვარ შენობით აიხსნება.

ისმება საკითხი, შეიძლება თუ არა ეგეთივე ცდების მოხდენა ადამიანებზე და თუ შეიძლება როგორ შედეგებს მივიღებთ.

ამ საკითხის გამოსარკვევათ შტეინახმა მოახდანა რამოდენიმე გამოკვლევანი.

**ტრ. ჩუბინიძე.**

## საუბარი ექიმთან

### რა წესით უნდა ვკვებოთ ძროხა

დღიურ საკვების წესიერად განაწილებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის ჯანმრთელობისა და წველისათვის. მთელი დღის კერძის ერთად მიცემა ძროხისათვის მავნებელია.

ძალიან დანაწილებაც არ ვარგა;

როდესაც მთელი დღის ინჯრას ერთად ვაძლევთ, ძროხას უძნელდება საკვების მონელება და ნოყიერებას ვერ იღებს.

ძროხის კუჭი დღის განმავლობაში ან გავსებულია ან შიმშილს განიცდის; როდესაც დღიურ ინჯრას ვანაწილებთ და ცოტა-ცოტაობით ვკვებავთ, ძროხა თავს მაძღრათ არ გრძნობს და სწუხს;

ეს ცუდათ მოქმედობს ძროხაზე და რძეს ცოტას იძლევა.

უმჯობესია ვკვებოთ ძროხა სამჯერ დღეში;

ღამე და ძალიან ადრე დილით საკვების მიცემა ძროხისათვის სასარგებლო არაა.

საკვების კარგად გადასამუშავებლად და მისგან ნოყიერების მასალებად, უმჯობესია ძროხას მივსცეთ საკვები დილას, შუა დღეზე და საღამოს.

თუ ძროხისათვის გვაქვს მომზადებული სხვა და სხვანაირი საკვები, როგორიც არის თივა, ბზე, ჭარხალი და სხვა ასეთები, მაშინ საჭიროა ყველა ეს საკვებები აურიოთ ერთი მეორეში, გავყოთ სამ ნაწილად.

როდესაც ძროხის ყოველ ჯერზე ერთნაირი საკვებით ვკვებავთ, კუჭი და საერთოდ შინაგანი აგებულება წესიერად მუშაობს, საკვებს კარგად ითვისებს და რძეს ბლომად იძლევა.

სანამ პირველად მიცემულ რძეს არ გაათავებს ახალი კერძი არ უნდა მისცეთ.

საჭიროა პატრონმა თვალყური ადევნოს ძრო-ხის მადას.

როცა ძროხა ვერ ერევა მიცემულ იჯ[illegible]ას რა-იმე მიზეზის გამო ან კიდევ სჭამს უ[illegible]ებოდ, იმ შემთხვევაში საჭიროა საკვები გა[illegible]უმჯობესოთ, მა-რილი მოაყაროთ ან ძროხის საყვარელი საკვები მიუმატოთ და სხვა.

თუ უმადობა ძროხას ხშირად ემჩნევა, საჭი-როა საკვების რაოდენობა შეუმციროთ.

საკვების მიცემა ყოველთვის უნდა სწარმოებ-დეს დაწესებულ დროზე.

ხშირად რძის მოცემის შეცირებას იწვევს თვით საკვების უდროვო დროს მიცემაც.

გარდა საკვების წესიერად განაწილებისა სა-ჭიროა ვიზრუნოთ საკვების ხარისხის გაუმჯობესე-ბაზე, მაგალითად უხეში და ძნელად მოსანელებელი საკვები უნდა დავსჭრათ წვრილად, დავთუთ-ქოთ.

რაც შეეხება წყალის დალევინებას, უმჯობე-სია ძროხას წყალი დავალევინოთ დღეში ორჯერ დილას—საკვების მიცემის შემდეგ და საღამოს—საკვების მიცემის წინ.

(„მიწის მუშა“)

## წერილები რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

ავადმყოფობის გამო ქვემოხსენებულ ამბავზე გამოხმაურება დამიგვიანდა და გთხოვთ ადგილი დაუთმოთ პატივცემულ თქვენს გაზეთში ამ წერილს.

გაზეთ „ტრიბუნის“ № 536 დაბეჭდილი იყო წერილი „რაშია საქმე“ მოქ. ხიმშელისა ამას მოჰ-ყვა პასუხი ექიმის თანაშემწის მოქ. გვარჯალაძის. პატივცემულნი მოქალაქენი ორივე მე მიმოწმებენ. ამის გამო საჭიროდ ვრაცხ განვმარტო საქმის ნამ-დვილი მდგომარეობა. მოქ. გვარჯალაძე ავსებდა ექიმთან შესასვლელ „ბლანკს“ რუსულად. ამისთვის საჭირო ცნობებს რუსულად მეკითხავდა და სწერდა. ამ დროს მოგვმართა ორივეს მოქ. ხიმშელმა და გვითხრა: „კაცო, ორივენი ქართველები ჰყოფილ-ხართ, მაშ რაღა საჭიროა უცხო ენაზედ საუბარი ასეთ მარტივ საგანზედაო“. შენიშვნა მეტად სამარ-თლიანი მეჩვენა და აბა რაღა მეთქმოდა. რაც შე-ეხება იმას, ვითომც მოქ. გვარჯალაძეს ეთქვას „აქ სომხებიც არიანო“, გადაჭრით ვამბობ: მე ეს სიტ-ყვები არ გამიგონია.

ვასილ ნაცვლიშვილი.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვ[illegible] ხება დამრთოთ თქვენი გაზეთის სა-შუა[illegible]ებით განვაცხადო შემდეგი. 1918 წლიდან მე ვმუშაობდი სოციალისტ-ფედერალისტთა სარევო-ლიუციო პარტიაში. პარტიის განხეთქილების შემ-დეგ და საბჭოთა მთავრობის დამყარების შემდეგ არც ერთ პარტიაში არ მიმუშავნია. თვალყურს ვა-დევნებდი პარტიის მუშაობას და თანაუგრძნობდი მემარცხენე სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიას. ეხლა მსურს ჩავდგე ამ პარტიის მჭიდრო რიგებში და მით მოვალეობა მოვიხადო, როგორც პარტიის ისე ჩემი სამშობლოს წინაშე.

ნიკოლოზ თეოდორეს-ძე [illegible]

რედაქტორი—[illegible]
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

## ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის
# სავალდებულო დადგენილება № 23

**9 აგვისტო 1923 წ.**

ადგილობრივ გადასახადთა ა. წ. 2 აპრილის ა. კ. აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის თანახმად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა:

ა. წ. 15 აგვისტოდან შემოღებულ იქმნას ქალაქში მცხოვრებთა თვითეული გაწერაზე გადასახადი ჩერვონის კაპეიკებში შემდეგი სახით:

1) მუშა-მოსამსახურეთ თვიური ჯამაგირით 10—25 საქონლის მანეთამდე და მათი ოჯახის წევ-რებს გადახდეს 5 კაპეიკი.

2) მუშა-მოსამსახურეთ თვიური ჯამაგირით 25 საქონლის მანეთის ზევით, მათ ოჯახის წევრებს და დანარჩენ მოქალაქეთ გადახდეს 10 კაპეიკი.

3) სრულიად განთავისუფლდეს გადასახადისაგან:

ა) მუშა-მოსამსახურენი თვიური ჯამაგირით 10 საქონლის მანეთამდე, ოჯახის წევრებით.

ბ) უმუშევარნი სოციალურ-დაზღვევის უფლებით მოსარგებლენი ოჯახის წევრებით.

გ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფნი ინვალიდები და ღარიბ-ღატაკნი ოჯახის წევრებით.

**შენიშვნა:** ოჯახის წევრად ითვლებიან: ქმარი და ცოლი, თუ თვითეულ მათგანს ცალკე შემოსა-ვალი არ აქვს; შვილები 17 წლამდე და მშობლები საკუთარ შემოსავალს მოკლებულნი.

4. თვით გადამხდელნი და აგრეთვე სახლის პატრონები და კომენდანტები ვალდებულნი არიან სწორი სათანადო ცნობები მიაწოდონ სამისამართო მაგიდის თანამშრომლებს, რომლებიც მცხოვრებთა გაწერას აწარმოებენ.

5. ყალბი ცნობების მიწოდებისათვის დამნაშავენი დაისჯებიან დაჯარიმებით 25 ჩერვონის მანე-თამდე, ან და დაპატიმრებით, ადმინისტრატიული წესით, ვადით 1 თვემდე.

აღმასკომის თავმჯდომარე: **სუხიშვილი.**

მდივანი: **ფალავა.**

№ 90.—2—1.

ს. ს. ს. ს. **სახსპირტი** რ. ს ფ. ს. რ.

**სპირტის სახელმწიფო მონოპოლიის გამგარითველოს რწმუნებული**

**ამიერ-კავკასიაში**

# სახსპირტი.

| **აწოდებს.** | **ყიდულობს.** |
|---|---|
| რუსეთის პურის დაწმენდილ სპირტს—96—97 პროც. დაწესებულებებისათვის. სახელმწიფო და კერძო პირთ | კავკასიის კონიაკს და კონიაკის სპირტს დიდი პარტიებით. |

**მიმართეთ:** ტფილისში—სასახლის ქუჩა № 6. რწმუნებული ამიერ-კავკასიის სახ-სპი-რტის. ტელ. 9—84.

**მთავარი საწყობი:** ჩერქეზიშვილის ქუჩა № 93, ტელ. № 21—23

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში, ტელ. 20—48.

**ბაქოში.** კრასნოვოდსკის, № 21 მთავარი საწყობი ტელეფ. 9—48.

**ბათომში:** მთავარი საწყობი „ერკოოპის“ შენობაში (მუშ. მთლიან კოოპერატივ. შე-ნობაში).

№ 389—1—1.

გათამაშება 1923 წლის 20 აგვისტოს ა.-კ. ს. ს. ფ. რ. ფინანს. სახ. კომისარიატისაგან. გათამაშება 1923 წლის 20 აგვისტოს.

# მეორე გათამაშება 6% ოქროს მომგებიან სახელმწიფო სესხისა.

# იჩქარეთ შეიძინოთ ობლიგაციები აგვისტოს 20-სათვის.

მეორე გათამაშება დაიწყება არა პირველ სექტემბერს, არამედ 20 აგვისტოს მიმდინარე წლისა. მეორე გათამაშების შედეგები გამოირ-კვევა ორი კვირით ადრე ვიდრე განწ[illegible] ხელზედ.

მეორე გათამაშებაში განსაკუთრებული მე-ღავათები ეძლევათ ვისაც სესხის ქაღალდები აქვს. 800,000 მანეთი ოქროთი—1923 წლის ფულის ნიშნებით კი 80,000,000 მან. მეტი, გაყოფილი 13,169 მოგებად, გათამაშებულ იქნე-ბა ხუთ სერიებად და არა ყველა ათ სერიად სესხისა. **ეს კი ადიდებს მოგების შანსებს ორჯერ.**

გრძელდება კოლექტიური და პიროვნული ხელისმოწერა მომგებიანი სესხის ობ-ლიგაციებზედ. კოლექტიურ ხელისმოწერის დროს მუშა-მოსამსახურეებს ეთმობათ 5 პრო-ცენტი ობლიგაციის გასასყიდი ფასიდან. კოლექტიურ და ინდივიდუალურ ხელისმოწერისას შესაძლებელია ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდა იმ პირობით, რომ სრული ანგარიში გასწორე-ბულ იქნეს 15 აგვისტომდე.

ობლიგაციები გამოშვებულია 5 და 25 მანეთიანი ოქროთი. 25 მანეთიან ობლიგა-ციებს ხუთ ხუთი ნომრები აქვთ, რომელთაგან თითოს ცალკე შეუძლია მოიგოს.

ობლიგაცია, რომელიც მოიგებს მეორე გათამაშების დროს, არ უქმდება. მას შეუ-ძლია მოიგოს შემდეგ გათამაშებებში—1924 წლის 1 იანვარს, ამავე წლის 1 ივლისს და ასე ათი წლის განმავლობაში (ორჯერ წელიწადში).

სესხი გამოცემულია ათი წლით. პირველი ხუთი წლის განმავლობაში სწარმოებს მხო-ლოდ მოგებათა გათამაშებანი. 1928 წლიდან 1932 წლამდი იწარმოებს მოგებათა გათამა-შებაც და ობლიგაციების გაუქმებაც. გაუქმებულ ობლიგაციაში სახელმწიფო იხდის რაც ის ეღირება გაუქმების დღეს ნომინალით. კუპონების გამოსყიდვა იწარმოებს ყოველ წლი-ურად ივნისის და დეკემბრის პირველს. ობლიგაციას მოაქვს 6 პროც. წლიური სარგებელი.

მოგებათა გასტუმრება და კუპონების გამოსყიდვა ხდება ანგარიშის გასწორების დღეს არსებული ოქროს კურსით.

მოგებათა გათამაშებაში შედის თითო მოგება 100,000 მანეთიანი ოქროთი, თი-თოც—50,000 მან. ოქროთი, ორ-ორი 25,000 მან. ოქროთი, ხუთ-ხუთი—10,000, მან. ოქროთი, ათ-ათი—5,000 მან. ოქროთი, ორმოცდაათი—1,000 მან. ოქროთი, 100—500 მან. ოქროთი, 1000—100 მან. ოქროთი, 2000—50 მან. ოქროთი, 10.000—20 მან. ოქროთი.

პირველი გათამაშების მოგებანი ყველა სავსებით გასტუმრებულია ოქროს კურ-სით, დაუბრკოლებლივ და დაუბეგრავად. 13.169 კაცმა მოიგეს დიდი თანხა.

სახელმწიფო 6 პროცენტიანი მომგებიანი ოქროს სესხი 6 მოგებანი განთავი-სუფლებულია ყოველნაირ როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ გადასახადისაგან, სპე-ციალურ თუ საერთო ხასიათისა. სესხის მოგებაზედ არ გაიწერება ქონება-შემოსავლის კვა-ლობაზედ დადებული გადასახადი.

**ობლიგაციები მიიღებიან ბედ ყოველ სახელმწიფო საიჯარო საქმეში.**

მომგებიან სესხის ობლიგაციებში საბანკო დაწესებულებანი და შრომის კასები იძლევიან სესხს 9 პროცენტად წლიურად, ე. ი. ფაქტიურად 3 პროცენტად, ვინაიდან თვით ობლიგაციებს მოაქვთ 6 პროცენტიანი სარგებელი წლიურად. ასეთი სესხი და იჯარა თა-ვისუფალია საღერბო გადასახადისაგან.

მომგებიანი სესხის ობლიგაციების შენახვა უფასოდ შეიძლება ყველა საფინანსო განყო-ფილებებში.

მომგებიანი სესხის ობლიგაციებზედ ფა-სებს აწესებს ამიერ-კავკასიის საფონდო ბირჟა.

ტირაჟი 1800 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ სამართველოს მიერ № 537 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სა, კონსტანტინეს ქუჩ. № 4.